

ალექს ჩიღვინაძე

Nuotraukos aut. Mikelias Gogičašvilis
ფოტოსურათის ავტორი მიხეილ გოგიჩაშვილი



ალექს ჩიღვინაძე

თარგმანი დომინიკას ნორკუნასი

ალექს ჩიღვინაძე დაიბადა 1986 წელს თბილისში, სადაც დღემდე ცხოვრობს. ის არის მწერალი, პოეტი და დრამატურგი. ამჟამად, უმეტესწილად, ქმნის ბავშვებისა და მთელი ოჯახისთვის განკუთვნილ პიესებს. ალექს ჩიღვინაძის პიესებს ოთხჯერ აქვს მიღებული „საქართველოს საუკეთესო უახლესი პიესების“ ჯილდო (2013, 2017, 2018 და 2019 წლებში). ხოლო შოთა რუსთაველის დრამის თეატრის კონკურსში „ახალი ტალღა“ მისი პიესა „თბილი ლუდი და ცივი ქალი“ საუკეთესო პიესად აირჩიეს (2011 წ.). წიგნი „მერის ცოლის საყვარელი“ (2013 წ.) აღიარეს წლის საუკეთესო დებიუტად და მიენიჭა ჯილდო „საბა“. მას, მეუღლესთან ერთად, 2017 წლიდან გამოცემული აქვს 5 ილუსტრაციული წიგნი ბავშვებისთვის. პოეტი აგრეთვე არის 2 სატელევიზიო სერიალისა და 2 მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარის ავტორი. ალექს ჩიღვინაძის შემოქმედება ნათარგმნია ინგლისურ და ბერძნულ ენებზე.

ALEKSAS ČIGVINADZĖ

Vertė Dominykas Norkūnas

Aleksas Čigvinadzė gimė 1986 m. Tbilisyje, kur gyvena ir dabar. Jis – rašytojas, poetas ir dramaturgas, šiuo metu daugiausia kuriantis teatrinės pjesės vaikams ir visai šeimai. A. Čigvinadzės pjesės net keturiskart apdovanotos „Geriausios naujosios Sakartvelo pjesės“ prizų (2013, 2017, 2018 ir 2019 m.), o Šotos Rustavelio dramos teatro konkurse „Naujoji banga“ geriausia išrinkta jo pjesė „Šiltas alus ir šalta moteris“ (2011). Knyga „Mero žmonos meilužis“ (2013) pripažinta geriausiu metų debiutu, už ją paskirtas „Sabos“ apdovanojimas. Kartu su žmona nuo 2017 m. yra sukūręs 5 paveikslėlių knygas vaikams. Be to, poetas yra dviejų televizijos serialų ir dviejų trumpametražių filmų scenarijų autorius. A. Čigvinadzės kūryba taip pat versta į anglų ir graikų kalbas.

კოსმონავტი

ბავშვობაში თითქმის ყველა ნაძვის ხეზე ეკიდა კოსმონავტი.
შემალული მწვანე პლასტიკის უხეშ წიწვებში,
ან ვერცხლისფერი, ბრწყინვალა წვიმის ზედაპირზე.
ეკიდა კენწეროსკენ, წითელ ვარსკვლავთან ახლოს,
რამეთუ ქვედა და მსხვილ ტოტებზე
დიდი და მძიმე სათამაშოების ადგილი იყო.
კოსმონავტს თავში მეტალის სამაგრი ჰქონდა გაყრილი,
როგორც ტროცკის ყინულის სამტვრევი.
ჩვენ, საბჭოთა ბავშვების ბოლო თაობა
ალარ ვოცნებობდით ამ პროფესიაზე,
ჩვენთვის ეს კოსმონავტი უბრალოდ დიდთავა ბიჭი იყო,
მოწყენილობისგან ნაძვის ხეზე რომ ჩამოეკიდებინა თავი.
და მაინც, პირადად მე ის ყველა სათამაშოს მერჩივნა,
ვარდისფერ მინის გირჩებს, თუ მინანქარმოყრილ ბურთებს,
მარწყვებს თუ სოკოებს.
მთელი წელი ეს კოსმონავტი იწვა სიბნელეში,
გამოხვეული თბილად ბამბებში.
სუნიც კი მახსოვს
და შარი-შურიც მის გამოჩენას რომ მოჰყვებოდა.
ნაძვის ხესთან ჩავლისას
ყოველთვის სუსტად წაკვრავდი წვიპურტს,
ამასთან ვიპრავდი ერთ ნაჭერ გოზინაკს
და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვდიოდი.
სად არის ახლა? რომელ ნაგავსაყრელზე ყრია
ვარსკვლავებივით მობრწყინალე მისი ბასრი ნამსხვრევები?

Kosmonautas

Vaikystėje veik ant visų eglučių kabojo kosmonautas.
Pasislėpęs tarp kietų plastmasinių spyglių
ar išpieštas ant blizgios sidabrinės skiautės.
Kabojo aukštai, greta raudonos žvaigždės,
nes storos apatinės šakos
buvo skirtos didesniems, sunkesniems žaisliukams.
Kosmonauto galvoje styrojo metalinė sąvaržėlė
tarsi ledlaužis Trockio kaukolėj.
Mums, paskutinei sovietinių vaikų kartai,
tai jau nebebuvo svajonių profesija,
mums šis kosmonautas atrodė kaip eilinis berniukas išsipūtusia galva,
iš nuobodulio užsiropštęs ant eglutės.
Vis dėlto man jis patiko labiau nei kiti žaisliukai,
labiau nei rožiniai kankorėžiai ar emaliuoti rutuliukai,
braškės ar grybai.
Ištisus metus šis kosmonautas gulėjo tamsoje,
įsuktas į šiltą vatą,
jos kvapą ir šiugždesį
bemat atpažinčiau.
Kaskart praeidamas
pro eglutę švelniai jam sprigteldavau
ir, nugvelbęs gozinakio* gabalėlį,
patyliukais išsliūkindavau iš kambario.
Kur tas kosmonautas dabar? Kokiame šiukšlyne pažiuro
jo šukės, spindinčios it žvaigždės?

* Gozinakis – kartveliškas šventinis saldumynas.
(Čia ir toliau – vert. past.)

ლია ლიქოკელი

Nuotraukos aut. Dirikas Skiba
ფოტოსურათის ავტორი ღირვ სკიბა



ლია ლიქოკელი

თარგმანი დომინიკას ნორკუნასი

ლია ლიქოკელი დაიბადა 1986 წელს, დუშეთში. დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი კინორეჟისურის სპეციალობით. 2008-2013 წლებში მუშაობდა დუშეთის სახალხო თეატრში რეჟისორად. პირველი წიგნი, პოეტური კრებული „დევის ცოლის სიცილი“, გამოიცა 2013 წელს და 2014 წელს მიიღო პრემია „საბა“ ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი. არის ლიტერატურული კონკურსის „წერო“ გამარჯვებული 2014 და 2015 წლებში; მიღებული აქვს წინანდლის პრემია პოეზიის ნომინაციაში - 2016 წელს. მისი ლექსები თარგმნილია შვედურ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე; მისი სადებიუტო პოეზიის წიგნი გამოიცა შვედეთში. ამჟამად ცხოვრობს და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა თბილისში.

LIJA LIKOKELI

Vertė Dominykas Norkūnas

Lija Likokeli gimė 1986 m. Dušetyje. Studijavo kino režisūrą Šotos Rustavelio teatro ir kino universitete. 2008–2013 m. buvo Dušėčio dramos teatro režisierė. Pirmoji eilėraščių knyga „Milžino žmonos kvatojimas“, išleista 2013 m., 2014 m. buvo įvertinta „Sabos“ apdovanojimu kaip geriausias metų literatūrinis debiutas. L. Likokeli dukart laimėjo „Gandro“ konkursą su trumposios prozos kūriniais (2014 ir 2015 m.), o 2016 m. apdovanota Tsinandalio premija už poeziją. Jos kūryba taip pat versta į anglų, švedų, vokiečių, rusų kalbas, o debiutinės poezijos knygos vertimas išleistas ir Švedijoje. Šiuo metu gyvena ir kuria Tbilisyje.

წადი, ბებიაშენი ნახე...

წადი, ბებიაშენი ნახე, თორემ მოკვდება.
დედაჩემმა მითხრა.
ბებიაჩემი დედაჩემის დედაა.
მესაზღვრეა: ცის და მიწის საზღვარს იცავს.
დილა-საღამოს ლეკეთის მთებს გაჰყურებს.
შუადღებზე სახურავჩაბრეცილი სახლის წინ ჩრდილივით ზის და ხედავს,
როგორ დააფრიალებს მის სხეულს ქარი წლობით გაუთიბავ მინდვრებში.
ხბობს კოცნის შუბლზე. ისე კოცნის, როგორც შვილიშვილებს.
შვილიშვილები სხვა მინდვრებში დადიან და ყოველთვის ცდებიან მისი
სახლისკენ მიმავალ ბილიკს.
რა გასაკვირია: იმდენი ბილიკია ერთმანეთში გადახლართული, როგორ უნდა
იპოვო ის, რომლის ბოლოშიც ბებიაშენი ზის და ხბობს კოცნის შუბლზე.
მისი სახლი ისეთია, თუ არ დაბერდი, არ შეგიშვებს.
ხევს გაღმა პაპაჩემის საფლავია.
სადღაც აქვე მარხია დედაჩემის ბავშვობა.
ზურგჩანთაში თბილ ტანსაცმელს ჩავაწყობ და წავალ.
ხელებს რომ შემოვხვევ, დაკემილი ნაქსოვი ჯემპრის ქვეშ იქნება კიდევ
რამდენიმე ჯემპრი. ჯემპრების ქვეშ თითქმის აღარაფერი.
მისი სხეული ჩემში უფრო მეტია უკვე, ვიდრე მასში.
საღამოს სახლის წინ დავჯდები და ლეკეთის მთებს გავხედავ.
დაღამდება და ტყე ეზოში შემოვა.
მთელ სოფელში სამი სახლიდან ამოვა კვამლი.
ვერ დავიძინებ და საკუთარ ძილს გამიყოფს ბებიაჩემი.
მეორე დილას ძალიან ვთხოვ და ტახტში ჩაკეცილ დედაჩემის სიზმრებს ამოლაგებს,
სულ პირველ სიზმრებს, ბატკნებით და ლილილოებით,
საგზლად ჩამიწყობს და იმ ბილიკამდე გამომაცილებს,
დასაწყისი და დასასრული ერთად რომ აქვს.
ამ მიწაზე, ამ შავ მიწაზე ბებიაჩემი ცხოვრობს.
მისი ცხოვრება ისეთია, თუ არ დაბერდი, არ შეგიშვებს.
უკვე საკმარისად ბებერი ვარ, შემიძლია მივიდე.
წადი, ბებიაშენი ნახე, თორემ...
დედაჩემმა მითხრა.
ბებიაჩემმა დედაჩემი გააჩინა, დედაჩემმა - მე.
მე არავინ გამიჩენია.

Nagi, aplankyk močiutę...

Nagi, aplankyk močiutę, nes numirs.
Pasakė mama.
Močiutė – tai mamos mama.
Ji pasienietė, sergstinti dangaus ir žemės paribus.
Nuo ryto lig vakaro stebi Dagestano kalnus.
Popiet ji drykso kaip šešėlis priešais namą įdubusiu stogu ir jaučia,
kaip aplink jos kūną metų metus nešienautose pievose laksto vėjas.
Veršeliūs bučiuoja j kaktą.
Anūkūs – taip pat.
Anūkai klaidžioja svetimais laukais, vis pražiopso takelį, vedantį j jos namus.
Nieko čia nuostabaus – tiek daug takelių, tarpusavy susiraizgiusių, tad kaipgi surasi
tą, kurio gale močiutė sėdi ir veršeliūs j kaktą bučiuoja.
Jos taisyklės paprastos – jei dar nepasenai, j vidų nėra ko veržtis.
Anapus tarpeklio – senelio kapas.
Kažkur netolies palaidota ir mamos vaikystė.
Kuprinėn įsimesiu šiltesnių drabužių, eisiu paieškot.
Kai po keliais adytais megztiniais
pajusiu savo nuogybę,
močiutė apleis savo kūną ir pereis j manąjį.
Vakare atsisėsiu priešais namą ir stebėsiu Dagestano kalnus.
Sutemus j kiemą atoš giria.
Kaime dūmys vos trys kaminai.
Niekai nepajėgsiu užmigti, tad močiutė dalysis miegu.
Kitą rytą, kai labai paprašysiu, iš patalų išardys visus mamos sapnus.
Ypač pirmuosius – apie avytes ir rugiagėles.
Įdės maisto kelionei ir palydės lig pat keliuko,
teturinčio vieną pradžių ir pabaigą.
Šioj žemėj, šioj nykioj, juodoj žemėj, gyvena močiutė.
Toks jau tas gyvenimas – jei dar nepasenai, j vidų nėra ko veržtis.
Jau gerokai pasenau, tad galiu ir užėiti.
Nagi, aplankyk močiutę, nes...
Pasakė mama.
Močiutė pagimdė mamą, mama – mane.
Aš nepagimdžiau nieko.

გიორგი შონია

Nuotraukos aut. Dirkas Skiba
ფოტოსურათის ავტორი დირკ სკიბა



გიორგი შონია

თარგმანი გრეტა ამბრაზაიტე

გიორგი შონია 1991 წელს დაიბადა ზუგდიდში. 2017 წელს უცხო ენათა ფილოლოგიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი გახდა. გიორგი შონიას სადებიუტო პოეტური კრებული „ფაბრიკაცია“, რომელიც 2016 წელს გამოიცა, ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ 2017 წლის გამარჯვებულია „დებიუტის“ ნომინაციაში. მისი მეორე კრებული „რობოტების ყვავილები“ 2020 წლის „წინანდლის პრემიის“ გამარჯვებულია პოეზიის ნომინაციაში. გიორგი შონიას შემოქმედება ნათარგმნია ბერძნულ, უკრაინულ და გერმანულ ენებზე.

GIORGIS ŠONIJA

Vertė Greta Ambrazaitė

Giorgis Šonija gimė 1991 m. Zugdidyje. 2017 m. Sakartvelo Iljos Čavčavadzės valstybiniame universitete įgijo užsienio kalbų filologijos ir lyginamosios literatūrologijos studijų magistro laipsnį. Už pirmąją knygą „Padirbinėjimas“ 2016 m. G. Šonija apdovanotas „Litera“ premija, skiriama už geriausią debiutą. Antroji knyga „Robotų gėlės“ 2020 m. poetui pelnė Tsinandalio premiją. Šiuo metu gyvena ir kuria Tbilisyje. G. Šonijos kūryba taip pat versta į graikų, ukrainiečių ir vokiečių kalbas.

ჩემი გზა

ნაწილი პირველი

სიღს

ჩემს გოგოს დიდი ძუძუები და კეთილი გული აქვს,
მას არ უყვარს ორალური სექსი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა,
მას არც ჩემი ლექსები მოსწონს,
მაგრამ მოსწონს ჩემი კოცნა.
უნდა ვალიარო, რომ კოცნა ბევრად კარგად გამოძის, ვიდრე წერა
და ის ამბობს, რომ როცა ისე წერას ვისწავლი,
როგორც ვკოცნი,
ანუ ვისწავლი გამოვხატო ბოლომდე საკუთარი თავი,
ისე, რომ ამით სხვებს მივანიჭო სიამოვნება,
ნობელს მომცემენ.

მე მჯერა მისი
და მისი დიდი ძუძუების,
რომლებიც ღმერთის არსებობაზე მაფიქრებენ
და ეს მშვენიერია.
მისი კოცნისას სულიწმინდა გადმოდის ჩემში
და პოლიეთილენის ნაზი ფრთებით იგერიებს ყოველდღიურ ნერვიულ შეტევებს
და ჩემი ნევროზიც უკვალოდ ქრება
და მე ვხდები კეთილი
და ტელევიზორის ეკრანიდან კოცნას ვუგზავნი ზედმეტად გაუნათლებელ
პარლამენტარებს
და „ასავალ-დასავალის“ ნეოფაშისტ ჟურნალისტებს
და ჩემი ბიზნესის ფაკულტეტის კურსელებს,
რომელთაც ერთი სული აქვთ როდის მცემენ
ჩემი კონტექსტებიდან ამოვარდნილი ფრაზების გამო.
მაგრამ მე ძლიერი ვარ,
მიუხედავად იმისა, რომ 63 კილოს ვიწონი,

Mano kelias

pirma dalis

Sidui*

Mano merginos papai dideli ir ji geros širdies,
jai nepatinka oralinis seksas ir šiuolaikinė kartvelų literatūra
ir ji nemėgsta mano eilėraščių,
bet dievina bučinius.
Tenka sutikt, kad bučiuotis aš moku kur kas geriau nei rašyti,
o ji priduria, kad tada, kai išmoksiu rašyt taip gerai
kaip bučiuotis
ir sugebėsiu perteikt save
suteikdamas tiek malonumo visiems kitiems, –
gausiu Nobelį.

Tikiu ja
ir jos dideliais papais,
jie perša man mintį, kad Dievas tikrai egzistuoja,
ir tai puiku.
Kai ją bučiuoju, mano širdį pasiekia Šventoji Dvasia
ir švelniais plastikiniais sparnais atremia nerimo priepuolius
ir mano neurozės pranyksta be pėdsakų,
ir aš tampu mielas
ir siuntinėju oro bučinius per televizoriaus ekraną labai jau išprususiems
parlamentarams
ir žurnalistams neofašistams iš „Asaval-dasavali“***
ir savo kursiokams iš Verslo fakulteto,
nekantriai laukiantiems progos mane sumušt
už replikas ne į temą.
Bet šiaip aš stiprus,
nors tesveriu 63 kilus,

* Skiriama britų pankų grupės „Six Pistols“ bosistui Sidui Vicious (1957–1979). Turima galvoje jo perdainuota Franko Sinatros daina „My Way“ (liet. „Mano kelias“).

** „Asaval-dasavali“ (liet. „Visapusiška žinia“) – Sakartvele leidžiamas savaitraštis.

თვალეები ჩაცვენილი
და მკერდი ჩავარდნილი მაქვს,
მე მზად ვარ ნებისმიერ მათგანს გული გადავუშალო
(მე ვიცი, რომ ისინი სიყვარულის ნაკლებობას განიცდიან.
მათ არ აძლევენ შეყვარებულები და საზოგადოებაში თავს ვერ იმკვიდრებენ.
მათ უმრავლესობას არც ორიენტირი აქვს
და არც რამე ცხოვრებისეული რაციონი).
მათ, ვისაც არაფერი სმენიათ ბუნებრივი გადარჩევის,
ტრისტან ტვარასა
და ტონი კეის შესახებ
და ვუთხრა, რომ ყველა ეს ჩემი გამოხდომა,
რომლებიც მათ სიმშვიდეს ურღვევს,
ჩემივე უსუსურობისა და შერყეული თვითრწმენის ბრალია
და მათ სრულებით არაფერს ვერჩი
და რომ გულის სიღრმეში ისეთივე მშვიდი და უკონფლიქტო ვარ,
როგორც საქართველოს პრეზიდენტი
და არც ეპატაჟები მიტაცებს,
უბრალოდ, მინდა, რომ ხანდახან მაინც უფრო მეტი ვიყო,
ვიდრე გიორგი შონია.

ეს ყველაფერი კარგად იცის ჩემმა გოგომ,
რომელსაც დიდი ძუძუები და კეთილი გული აქვს.
მან ისიც იცის, რატომ მიცემს გული გამალებით,
როცა ფანჯრიდან ვუყურებთ მორიგ გათენებას,
დღეს, რომელიც ახალს არაფერს გვპირდება,
გარდა ჭიქა ყავისა და ერთმანეთისა
და ჩვენც ერთმანეთით სავსენი
ფანჯრიდან ვუყურებთ, როგორ მიიზღაზნებიან ყვითელი ავტობუსები
საკადის მოედანზე,
როგორ გამოდიან ადამიანები კორპუსებიდან
და როგორ მოათრევენ უძინარ სხეულებს,
რათა კიდევ ერთხელ გაამაგრონ ყოველდღიურობის რუტინული კედლები,
რომელიც ჯიუტად არ აპირებს ჩამონგრევას.

ჩვენ ვართ ორი ცოცხალი მოწმე იმისა,
თუ როგორ იღვიძებს მკვდრების ქალაქი.

nors užkritę mano akių vokai
ir išplerę bicepsai,
juk bet kurį jų priimčiau į savo širdį.
(Aišku, jiems trūksta meilės.
Merginos neduoda, visuomenėj irgi nesiseka rasti vietos.
Dauguma jų stumia dienas be tikslo
ir nemato jokios prasmės.)
Priimčiau ir tuos, kurie niekada negirdėję apie natūraliąją atranką,
Tristaną Carą
ir Tony Kaye'ų,
ir pasakyčiau, kad dėl visų mano užgaidų,
drumsčiančių jų ramybę,
kaltas mano išglebęs kūnas ir sunykęs pasitikėjimas,
o jiems iš tiesų neturiu jokių priekaištų,
dar kad giliai širdy esu ramus ir nekonfliktiškas,
visai kaip Sakartvelo Prezidentas,
ir iš tiesų nemėgstu kurstyt tų visų skandalų,
tik retkarčiais norėčiau būt kuo nors daugiau
negu Giorgis Šonija.

Visa tai puikiai supranta mano mergina,
geraširdė dideliais papais.
Ir ji žino, kodėl taip greitai plaka mano širdis,
kai pro langą stebiu eilinę brėkštančią aušrą
ir kaip prasideda diena, neatnešianti nieko naujo,
tik puodelį kavos ir buvimą dviese,
ir mes iki galo įkvėpsime vienas kito,
o dabar pro langą stebime, kaip šliaužioja geltoni autobusai
Saakadzės aikštėje,
kaip žmonės pirmyn atgal bruzda, po korpusus
tampo savo nuvargusius kūnus,
kad darkart sumūrytų sienas kasdienei rutinai,
ji jžūli ir nemano susisproginti.

Mudu esam gyvi liudytojai
šio bundančio numirėlių miesto.